

## ერაზმუს მუნდუსის პროგრამა

*საგარეო თანამშრომლობის ფანჯარა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის*

პროექტი მიზნად ისახავს სტუდენტების (ბაკალავრიატის და მაგისტრატურის), მკვლევარების (დოქტორანტების და პოსტ-დოქტორანტების) და აკადემიური პერსონალის მობილობის უზრუნველყოფას. პროექტის პრიორიტეტია არსებული საგანმანათლებლო რესურსების მიუკერძოებელი და სამართლიანი გადანაწილება განსაკუთრებული საჭიროებებისა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მქონე სტუდენტებზე.

### პროექტის მიზნები

- განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტურანტურა) სტუდენტებს, მკვლევარებს და აკადემიურ პერსონალის მობილობის ხელშეწყობა ორ კონტინენტს შორის, რაც პროექტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდება;
- განვითარებადი ქვეყნების კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებსა და პროექტის პარტნიორი დაწესებულებათა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის ცოდნისა და გამოცდილება გაზიარება;
- განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლებისათვის თანამედროვე სატრენინგო პროგრამების, სემინარების, პროექტების, კვლევების, სავლელ ღონისძიებების, სტაჟირების, საგანმანათლებლო ვიზიტების შეთავაზება, ევროპული ინსტიტუტების მატერიალური ბაზისა და ცოდნის გამოყენება;
- უნარშეზღუდული სტუდენტებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სხვა მეთოდების გამოყენებით განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ტრანსნაციონალურ დონეზე ცოდნისა და გამოცდილების გაცვლის მხარდაჭერა განვითარებადი და ევროპის ქვეყნების აკადემიური პერსონალის მობილობის უზრუნველყოფის გზით;
- პროექტის ბენეფიციართა ლინგვისტურ შესაძლებლობათა გაძლიერება, როგორც ინგლისური ენის ინტენსიური სასწავლო კურსების შეთავაზების, ასევე სასწავლო კურსის ინგლისურ ენაზე გავლის გზით;
- ახალი ტექნოლოგიებისა და ბოლონიის პროცესის სამოქმედო პრინციპების დანერგვით განვითარებადი ქვეყნების უნივერსიტეტებში ახალი მოსამზადებელი პროგრამების შექმნა და ამ მიზნით აკადემიური პერსონალის, პოსტ-დოქტორანტურის მკვლევარებისათვის, მაგისტრატურისა და დოქტურანტურის სტუდენტებისათვის აღნიშნულ საკითხებზე სემინარების ჩატარება;
- მყარი საგანმანათლებლო, კულტურული და ეკონომიკური კავშირების შექმნა ორი კონტინენტის ინსტიტუტებსა და ქვეყნებს შორის, პროექტის ფარგლებში დიალოგისა და თანამშრომლობის გაძლიერება;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, გარკვეული პრიორიტეტის მინიჭება სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მქონე

სტუდენტებისათვის, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის.

## პროექტის სამიზნე ჯგუფები

### ჯგუფი 1

სტუდენტები (ბაკალავრიატი, სამაგისტრო, დოქტორანტურა), პოსტ-დოქტორანტურის მკვლევარები და აკადემიური პერსონალი, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან პარტნიორ უნივერსიტეტებში (იხ. პარტნიორთა სია).

### ჯგუფი 2

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ან მიღებული აქვთ საუნივერსიტეტო ხარისხი ან მისი ექვივალენტი იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მაგისტრი, დოქტორანტი, პოსტ-დოქტორანტი), რომლებიც არ არიან პარტნიორი დაწესებულებები. ეს გულისხმობს მობილობის შესაძლებლობას საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეებისთვის, რომლებიც სახელმწიფო მმართველობის სფეროში, კერძო და საჯარო სექტორში მუშაობენ.

### ჯგუფი 3

საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მოქალაქეები, რომლებიც მძიმე სოციალურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ეს გულისხმობს ზემოთაღნიშნული სამი ქვეყნის იმ მოქალაქეების (მაგისტრი, დოქტორანტი, პოსტ-დოქტორანტი) მობილობას, რომლებსაც აქვთ ლტოლვილის სტატუსი ან სარგებლობენ თავშესაფრის უფლებით (საერთაშორისო ან ევროპის რომელიმე მიმღები ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად) ან თუ დადასტურდება, რომ ისინი უსაფუძვლოდ იქნენ გარიცხული უნივერსიტეტიდან რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ, პოლიტიკურ, გენდერულ ნიადაგზე.

### ფინანსური პირობები 2007-2008 სასწავლო წლისათვის

მობილობის ტიპი	ყოველთვიური დაფინანსება
ბაკალავრიატი	800 ევრო/თვეში ევროპელი სტუდენტებისთვის
	1000 ევრო/თვეში მესამე ქვეყნების სტუდენტებისთვის
მაგისტრატურა	800 ევრო/თვეში ევროპელი სტუდენტებისთვის
	1000 ევრო/თვეში მესამე ქვეყნების სტუდენტებისთვის
დოქტორანტურა	1500 ევრო/თვეში
პოსტ-დოქტორანტურა	1800 ევრო/თვეში
აკადემიური პერსონალი	2500 ევრო/თვეში

დამატებით: \*ჯანმრთელობის დაზღვევა 75 ევრო/თვეში \*თვითმფრინავის ბილეთი

## პროექტის პარტნიორები

1. ალექსანდრეს სახელობის თესალონიკის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (პროექტის კოორდინატორი) [www.teithe.gr](http://www.teithe.gr), საბერძნეთი, პროექტის მენეჯერი: ტანია კაპიკი [tkapiki@tour.teithe.gr](mailto:tkapiki@tour.teithe.gr)

2. ანგრის უნივერსიტეტი [www.univ.angers.fr](http://www.univ.angers.fr) , საფრანგეთი, პროექტის მენეჯერი მარია გრავარი-ბარბა: [maria.gravari-barbas@wanadoo.fr](mailto:maria.gravari-barbas@wanadoo.fr)
3. Rezekne's Augstskola [www.ru.lv](http://www.ru.lv), ლატვია, პროექტის მენეჯერი ივეტა გროდინა: [graudina@ru.lv](mailto:graudina@ru.lv)
4. უნივერსიტეტი "ანგელ კაჩევი" [www.ru.acad.bg](http://www.ru.acad.bg) , ბულგარეთი, პროექტის მენეჯერი კირილ ბარზევი: [barzev@ru.acad.bu](mailto:barzev@ru.acad.bu)
5. ტუსკიას უნივერსიტეტი [www.unitus.it](http://www.unitus.it) , იტალია, პროექტის მენეჯერი ანტონინო სკარელი [antoninoscar@alice.it](mailto:antoninoscar@alice.it)
6. ვიანა დო კასტელოს ტექნოლოგიური ინსტიტუტი [www.ipvc.pt](http://www.ipvc.pt), პორტუგალია, პროექტის მენეჯერი კარლოს ფერნანდესი, ელზაკოელი [cfernandes@estg.ipvc.pt](mailto:cfernandes@estg.ipvc.pt), [elsacoelho@ipvc.pt](mailto:elsacoelho@ipvc.pt)
7. ჰას დენ ბოსხის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი [www.hasdenbosch.nl](http://www.hasdenbosch.nl), ნიდერლანდები, პროექტის მენეჯერი ნეელჯე ბეკერსი [N.Bekkers@hasdb.nl](mailto:N.Bekkers@hasdb.nl)
8. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, [www.tsu.ge](http://www.tsu.ge), საქართველო, პროექტის მენეჯერი თეა გერგედავა [gergedava@tsu.ge](mailto:gergedava@tsu.ge)
9. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი [www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge), საქართველო, პროექტის მენეჯერი მარინა კობახიძე [marina\\_k55@ramber.ru](mailto:marina_k55@ramber.ru)
10. იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი [www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge), საქართველო, პროექტის მენეჯერი მარინა ჯავახიშვილი [office\\_tesau@mail.grena.ge](mailto:office_tesau@mail.grena.ge)
11. გავარის სახელმწიფო უნივერსიტეტი [www.GSU.am](http://www.GSU.am), სომხეთის რესპუბლიკა, პროექტის მენეჯერი ვარაზდატ კარაპეტიანი [varazdatk@rambler.ru](mailto:varazdatk@rambler.ru)
12. გიუმრის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი [www.gspi.am](http://www.gspi.am), სომხეთის რესპუბლიკა, პროექტის მენეჯერი არპინ პორსუგან [pedinst@shirak.am](mailto:pedinst@shirak.am)
13. სომხეთის ეკონომიკის სახელმწიფო უნივერსიტეტი [www.asue.am](http://www.asue.am), სომხეთის რესპუბლიკა, პროექტის მენეჯერი ვარდან სარგსიანი [varsarg@mail.ru](mailto:varsarg@mail.ru)
14. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი [www.ysu.am](http://www.ysu.am), სომხეთის რესპუბლიკა, პროექტის მენეჯერი არამ არაქელიანი [martig@arminco.com](mailto:martig@arminco.com)
15. სომხეთის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი [www.armagrar-uni.am](http://www.armagrar-uni.am), სომხეთის რესპუბლიკა, პროექტის მენეჯერი ვალენტინა გერეგორიან [valent\\_g2000@yahoo.com](mailto:valent_g2000@yahoo.com)
16. აზერბაიჯანის ტურიზმის ინსტიტუტი [www.tourism.edu.az](http://www.tourism.edu.az), აზერბაიჯანი, პროექტის მენეჯერი ნიგარ აბასზადე [nigyarabbaszade@hotmail.com](mailto:nigyarabbaszade@hotmail.com)
17. განჯის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი, პროექტის მენეჯერი ნადირ იბადოვ [g\\_nadir@azeurotel.com](mailto:g_nadir@azeurotel.com)
18. ხაზარის უნივერსიტეტი, [www.khazar.org](http://www.khazar.org), Azerbaijani, პროექტის მენეჯერი ჰამლეტ ისახანლი, [hamlet@khazar.org](mailto:hamlet@khazar.org)

## პროექტის ასოცირებული წევრები

- თესალონიკის ვაჭრობისა და მრეწველობის პალატა, საბერძნეთი
- თესალონიკის მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა პალატა, საბერძნეთი
- გრეკოტელი, საბერძნეთი
- თესალონიკის განვითარების სააგენტო, საბერძნეთი

- სოფლის მეურნეობის კვლევის ეროვნული ფონდი, საბერძნეთი
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო, აზერბაიჯანი
- აზერბაიჯანის პრეზიდენტთან არსებული სამოქალაქო სამსახურის კომისია
- რელიფ ინტერნაიშენალი, აზერბაიჯანი
- აზერბაიჯანის წითელი ჯვარი
- სომხეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- სომხეთის საინჟინრო აკადემია
- ენერგეტიკის ეკოლოგიური პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, სომხეთი
- ბავშვთა საქველმოქმედო სოციალური ორგანიზაცია "იერჯანიკი", სომხეთი
- ცოვაცოკი (ტურიზმის ბიზნესი), სომხეთი
- ეკონომიკური განვითარებისა და კვლევის ცენტრი, სომხეთი
- "ირაზეკ" არასამთავრობო ორგანიზაცია, სომხეთი
- გეგარკუნის ვაჭრობისა და მრეწველობის პალატა, სომხეთი
- სომხეთის ეკონომისტთა კავშირი
- შირაკის რეგიონული დარგობრივი ცენტრი, სომხეთი
- თელავის მუნიციპალიტეტი, საქართველო

## საკონტაქტო ინფორმაცია

1. პროფესორი ტანია კაპიკი, კოორდინატორი, [tkapiki@tour.teithe.gr](mailto:tkapiki@tour.teithe.gr)
2. დოქტორი კოსტას ასიმაკოპულოსი, კოორდინატორის ასისტენტი, [casim@ee.auth.gr](mailto:casim@ee.auth.gr)
3. მარიანტი ტაკუსიდუ, ფინანსური საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, [memi@tour.teithe.gr](mailto:memi@tour.teithe.gr)
4. კოსტას ნერანცისი, ადმინისტრაციული საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, [labypod@tour.teithe.gr](mailto:labypod@tour.teithe.gr)

<http://erasmusmundus5.teithe.gr>

<http://eacea.ec.europa.eu/extcoop/call/index.htm>